

გერმანული ტოპონიმური და ეთნონიმური ფრაზეოლოგიზმების სემანტიკისისათვის

კვლევის მიზანია ტოპონიმური და ეთნონიმური ფრაზეოლოგიზმების სემანტიკური მნიშვნელობის და ჯგუფების დადგენა. კვლევის ობიექტია გერმანულენოვანი ლექსიკონები.

კვლევისას გამოიკვეთა ორი სემანტიკური ჯგუფი: ქვეყნების სახელებით (ტოპონიმებით) ნაწარმოები ფრაზეოლოგიზმები: *Leben wie Gott in Frankreich*- ღმერთივით ცხოვრება საფრანგეთში ანუ კარგად ცხოვრება და ეროვნებების სახელებით (ეთნონიმებით) ნაწარმოები ფრაზეოლოგიზმები: *stolz wie ein Spanier*-ესპანელივით ამაყი. დაფიქსირდა შემდეგ ქვეყნებთან და ეროვნებებთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები:

Ägypten (ეგვიპტე): *sich nach den Fleischtöpfen Ägyptens (nach den ägyptischen Fleischtöpfen) (zurück)sehnen* -ეგვიპტის ხორციით სავსე ქვაბების მონატრება (წარსული, ბედნიერი დროის მონატრება); *ägyptische Finsternis*- ეგვიპტური სიბნელე (კუნაპეტი სიბნელე). ამ ფრაზეოლოგიზმს ძირითადად ხუმრობით ძალიან სიბნელის აღსანიშნავად ხმარობენ. იგი მომდინარეობს ძველი აღქმიდან. აქ აღწერილია ეგვიპტეში სამდღიანი წყვდიადის შესახებ.

Amerika (ამერიკა): *Amerika den Amerikanern*-ამერიკა ამერიკელებს. აღნიშნული ფრაზეოლოგიზმი ეფუძნება ეგრეთ წოდებულ მონროს დოქტრინას, რომელიც 1823 წელს კონგრესს წარუდგინა პრეზიდენტმა ჯეიმს მონრომ. მონროს დოქტრინა, უპირველეს ყოვლისა, კრძალავდა ევროპული ძალების ჩარევას და შემდგომ კოლონიზაციას ამერიკის კონტინენტზე, მაგრამ ასევე აკრძალული იყო აშშ-ს მიერ ევროპის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის შესახებ. სწორედ აქედან მომდინარეობს ეს ფრაზეოლოგიზმიც.

der (reiche) Onkel aus Amerika- (მდიდარი) ბიძა ამერიკიდან (ფულის საიდუმლო წყაროს ქონა; უცნობი იდუმალი ფინანსისტი ყოლა/მდიდარი ნათესავის ყოლა); *der amerikanische Traum*- ამერიკული ოცნება (აყვავებული, დემოკრატიული საზოგადოების იდეალი ამერიკაში, როგორც შეუზღუდავი შესაძლებლობების ქვეყანა).

Armenien (სომხეთი): *ein armenischer Besuch*-სომხური ვიზიტი (ხანგრძლივი ვიზიტი)

China (ჩინეთი): *chinesisch reden*- ჩინურად ლაპარაკი (გაუგებრად ლაპარაკი); *chinesisch für jmdn. sein*- ვინმესთვის ჩინურია (გაუგებარია); *Chinesische Mauer*-ჩინური კედელი (გადაულახავი ბარიერი); *sowas lebt in China!* ასეთი რამ ჩინეთში ცხოვრობს! (გაოცნების წამოძახილი); *mit den Chinesen Bruderschaft getrunken haben*- ჩინურ სამმოსთან ერთად დალევა (სიყვითლის ქონა); *Chinesen spielen*-ჩინელის თამაში (სიყვითლის ქონა); *Tee nach China tragen*- ჩაის ჩინეთში წაღება (სისულელის/უაზრობის გაკეთება); *wenn in China/Peking ein Fahrrad/ Sack Reis umfällt* - თუ ჩინეთში /პეკინში ველოსიპედი/ბრინჯის ტომარა ჩამოვარდება (უმნიშვნელო შემთხვევა); *wenn...[dann] bin ich der Kaiser von China* - თუ ეს ასეა..., მაშინ მე ჩინეთის იმპერატორი ვარ.

Deutschland (გერმანია): *etw. auf gut deutsch sagen*- კარგ (გასაგებ) გერმანულად თქმა (პირდაპირ გასაგებად სიმართლის თქმა); *auf deutschem Boden gehen (laufen)*- გერმანულ მიწაზე

სიარული (ფეხშიშველა სიარული); noch tief im deutschen Sauerkraut stecken - გერმანულ მუავე კომბოსტოში ყოფნა (კარგად იცნობს გერმანულ კულტურას, ტრადიციებს); jmd. hat deutsches Sauerkraut gegessen- გერმანული მუავე კომბოსტო ჭამა (კარგად იცნობს გერმანულ ურთიერთობებს, კულტურას, ტრადიციებს); ein echter deutscher Mann mag keinen Franzen leiden: ნამდვილი გერმანელი კაცი ვერ იტანს ფრანგებს.

England (ინგლისი): englisch einkaufen (kaufen)- ქურდობა (თაღლითურად მოქცევა); englische Krankheit haben- ინგლისური დაავადების ქონა; englisch braten- ინგლისურად შეწვა (გარედან ყავისფერი და შიგნით სისხლიანი).

Frankreich (საფრანგეთი): sich französisch/ auf Französisch verabschieden - ფრანგულად გამომშვიდობება (ჩუმიად, გამოუმშვიდობებლად წასვლა); französische Krankheit/ französisch krank sein -ფრანგული ავადმყოფობა/ფრანგულად ავად ყოფნა; სქესობრივი ავადმყოფობის (სიფილისის) ქონა; französisch sprechen wie die Kuh spanisch: ფრანგულად ისე ლაპარაკი, როგორც ძროხა ესპანურად (ფრანგულად ცუდად ლაპარაკი); leben wie Gott (wie der liebe Herrgott) in Frankreich - საფრანგეთში ღმერთივით ცხოვრება (უზრუნველად და ბედნიერად ცხოვრება); Der Lord läßt sich entschuldigen, er ist zu Schiff nach Frankreich- ლორდი იხდის ბოდიშს, ის გზაშია საფრანგეთის გემზე. ამ ფრაზეოლოგიზმს ამბობენ, როცა ვიღაცა მიუწვდომელია.

Eulen nach Athen tragen-ბუების ათენში წაყვანა (რაიმე აბსურდულის, უაზროს გაკეთება). ეს ფრაზეოლოგიზმი ბერძნული წარმოშობისაა. ბუ ძალიან გავრცელებული იყო ათენში და მის შემოგარენში. იგი იყო არა მხოლოდ სიბრძნის სიმბოლო, არამედ ქალაქის მფარველი ქალღმერთის, ათენას ატრიბუტიც. გარდა ამისა, ბუ იყო ამოტივტივებული ათენის მონეტებზე ანუ ადამიანი ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა ბუებს. აქედან გამომდინარე, უაზრობა იყო ათენში ბუს წაყვანა.

Holland (ჰოლანდია): den Holländer machen-ჰოლანდიელის გაკეთება (გაქცევა, გაპარვა, დამალვა); die holländische Marke rauchen: ჰოლანდიურად მოწევა. ასე ამბობენ, როცა ვინმე სულ სხვისგან თხოულობს სიგარეტს მოსაწევად.

Indien (ინდოეთი): ein Gedächtnis wie ein indischer Elefant haben- ინდოელი სპილოს მეხსიერების ქონა (ძალიან კარგი მეხსიერების ქონა)

Polen (პოლონეთი): da (heute) ist Polen offen - დღეს პოლონეთი ღიაა (არეულობაა/სიტუაცია უკონტროლოა); noch ist Polen nicht verloren- პოლონეთი ჯერ კიდევ არაა დაკარგული (ჯერ კიდევ არაა ყველაფერი დაკარგული/სიტუაცია არ არის გამოუვალი); sich polnisch verabschieden-პოლონურად გამომშვიდობება (შეუმჩნევლად, გაუფრთხილებლად, მალულად წასვლა); sich polnisch verheiraten- პოლონურად დაქორწინება (სამოქალაქო ქორწინებაში ყოფნა); polnisch zusammenleben- ხელის მოწერის გარეშე ერთად ცხოვრება (დაურეგისტრირებელი ქორწინება).

Schweiz (შვეიცარია): ein Gehirn haben wie ein Schweizer Käse - შვეიცარული ყველივით ტვინის ქონა (ცუდი მეხსიერების ქონა)

Spanien (ესპანეთი): das ist mir spanisch-ეს ჩემთვის ესპანურია (ეს ჩემთვის გაუგებარია); da sieht es spanisch aus- ესპანურად გამოიყურება (უცნაურად/გაუგებრად/უწესრიგოდ გამოიყურება); jmdm. spanische Stiefel anziehen- ვინმესთვის ესპანური ჩექმების ჩაცმა (ვინმესთვის იძულებით თავისუფლების შეზღუდვა) für jmdn. spanische Dörfer sein - ეს ვინმესთვის ესპანური სოფლებია (ვინმესთვის გაუგებარია).

Russland (რუსეთი): an den russischen Monat denken- რუსულ თვეზე ფიქრი (შურისმაძიებელია); einen Russen haben- რუსის ყოლა (მთვრალია); voll wie hundert (tausend)

Russen -ასი (ათასი) რუსივით სავე (ძალიან მთვრალი, გაღებოლი) volltrunken saufen wie ein Russe-რუსივით ლოთობა (ბევრის დაღვევა); jmdn. einen Russen aufbinden - ვინმეს მოტყუება; ტყუილის სიმართლედ წარმოდგენა.

Schweden (შვედეთი, შვედები): einem den Schweden wünschen -ვინმესთვის შვედის სურვება (ვინმესთვის უდიდესი უბედურების სურვება); jmdn. hinter schwedische Gardinen bringen- ვინმეს შვედური ფარდების უკან წაყვანა ანუ ისე გაკეთება, რომ ვინმე ციხეში მოხვდეს; den Schwedentrunken erhalten-შვედური სასმელის მიღება (არაადამიანური წამებით სიკვდილი).

Preußen (პრუსიელები): preußisch tun - პრუსიულად გაკეთება (ტრაბახი, ბევრის დაპირება); So schnell schießen die Preußen nicht- პრუსიელები ასე სწრაფად არ ისვრიან (ეს ასე სწრაფად არ გამოვა); nicht preußisch miteinander sein - ერთმანეთთან პრუსიულად არ არიან (ვინმესთან მეგობრული ურთიერთობა არ აქვს/უთანხმოება, კონფლიქტი აქვს/ვერ ეწყობიან ერთმანეთს); stolz wie ein Preuße - პრუსიელივით ამაყი

Juden (ებრაელები): eine Judenschule aufmachen- ებრაული სკოლის გახსნა (ხმაურის დაწყება; ხმაურიანი გასართობი ღონისძიების დაწყება); Lärm wie in einer Judenschule -ხმაური, როგორც ებრაელების სკოლაში (ძლიერი ხმაური); sich benehmen wie in einer Judenschule -ისე იქცევა, როგორც ებრაელების სკოლაში (ხმაურიანად მოქცევა).

ეთნონიმური ფრაზეოლოგიზმების სემანტიკური კვლევისას დაფიქსირდა ამა თუ იმ ხალხთა ხასიათის თვისებების გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები:

მატყუარა, თაღლითი: einen Türken bauen რაიმეს გამოგონება/რაიმეს ორიგინალისთვის მიმსგავსება/რაიმეს ისე წარმოჩენა თითქოს ნამდვილია; getaufter Jude-მონათლული ებრაელი (თაღლითი); den Holländer machen-გაქცევა, დამალვა; mit dem Judenspieß rennen- არაკეთილსინდისიერი გზით მოგების მიღება.

სულელი: ein Gehirn haben wie ein Schweizer Käse - შვეიცარული ყველივით ტვინის ქონა (ცუდი მეხსიერების ქონა).

შურისმაძიებელი: an den russischen Monat denken- რუსულ თვეზე ფიქრი (შურისმაძიებელია); einem einen Schweden wünschen - -ვინმესთვის შვედის სურვება (ვინმესთვის უდიდესი უბედურების სურვება)

ეშმაკი: einen Holländer machen- -ჰოლანდიელის გაკეთება (გაქცევა, გაპარვა, დამალვა); alter Schwede!-ძველო შვედო! ამ ფრაზეოლოგიზმით ბერლინში კარგ ნაცნობს ხუმრობით მიმართავენ შეხვედრის დროს (დაახლოებით როგორც ქართული „ძველო!“).

ლოთი: saufen wie ein Russe-რუსივით ლოთობა; voll wie hundert (tausend) Russen-ძალიან ლოთობა; einen Russen haben-მთვრალია.

ჭუჭყიანი, ფეთხუმი: aus dem Hals stinken wie ein Zigeuner aus dem Hosenlatz-ძალიან ყარს.

არარეალური, გაუგებარი: spanische/ böhmische Dörfer- ვინმესთვის გაუგებელია; Träumereien an französischen Kaminen -ფრანგულ ბუხრებთან ოცნება.

არათავაზიანი: sich auf englisch/ französisch/ polnisch verabschieden- მალულად, დაუმშვიდობებლად წასვლა; den Holländer machen- გაქცევა, გაპარვა, დამალვა.

მოჩხუბარი, მტრული: mit jmdm. nicht preußisch sein-ვინმესთან მეგობრული ურთიერთობა არ აქვს/უთანხმოება, კონფლიქტი აქვს/ვერ ეწყობიან ერთმანეთს.

არაკეთილსინდისიერი: mit dem Judenspieß rennen-არაკეთილსინდისიერი გზით მოგების მიღება.

დაფიქსირდა ასევე ადამიანური ქცევების გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები:

მოპარვა: böhmisch/ polnisch/ englisch/ französisch einkaufen -ქურდობა

გაპარვა: sich auf englisch/ französisch/ polnisch verabschieden-მალულად, გამოუმშვიდობებლად წასვლა.

მოტყუება: jmdn. einen Russen aufbinden- ვინმეს მოტყუება; ტყუილის სიმართლედ წარმოდგენა; einen Türken bauen -რაიმეს ისე წარმოჩენა თითქოს ნამდვილია.

სისასტიკე: hausen wie die Schweden-დანგრევა, den Schwedentrunck erhalten-არაადამიანური წამებით სიკვდილი

ცხოვრების წესი: Leben wie Gott in Frankreich-კარგად ცხოვრება; polnisch zusammenleben- რეგისტრაციის გარეშე ერთად ცხოვრება; polnische Ehe-დაურეგისტრირებელი ქორწინება; es geht hier zu wie in einer Judenschule - ხმაურია.

დაავადებები: englische Krankheit-ინგლისური ავადმყოფობა; mit den Chinesen Bruderschaft getrunken haben-სიყვითლე აქვს, Chinese spielen-სიყვითლე აქვს, französische Krankheit/ französisch krank sein-სქესობრივი დაავადება

ტოპონიმური და ეთნონიმური ფრაზეოლოგიზმების სემანტიკური კვლევისას გამოიკვეთა პოზიტიური, ნეგატიური და ნეიტრალური კონოტაციის ფრაზეოლოგიზმები.

პოზიტიური კონოტაციის ფრაზეოლოგიზმები: Leben wie Gott in Frankreich- კარგად ცხოვრება; stolz wie ein Spanier-ესპანელივით ამაყი; stolz wie ein Preuße: პრუსიელივით ამაყი; sich nach den Fleischtöpfen Ägyptens (nach den ägyptischen Fleischtöpfen) (zurück)sehnen-წარსული, ბედნიერი დროის მონატრება; Amerika den Amerikanern-ამერიკა ამერიკელებს; der amerikanische Traum- ამერიკული ოცნება; etw. auf gut deutsch sagen- პირდაპირ გასაგებად სიმართლის თქმა; noch tief im deutschen Sauerkraut stecken - კარგად იცნობს გერმანულ კულტურას, ტრადიციებს; jmd. hat deutsches Sauerkraut gegessen- კარგად იცნობს გერმანულ ურთიერთობებს, კულტურას, ტრადიციებს; englisch einkaufen (kaufen)- მოპარვა; englische Krankheit haben- ინგლისური ავადმყოფობის ქონა; ein Gedächtnis wie ein indischer Elefant haben- ძალიან კარგი მეხსიერების ქონა; noch ist Polen nicht verloren- ჯერ კიდევ არაა ყველაფერი დაკარგული/სიტუაცია არ არის გამოუვალი.

ნეგატიური კონოტაციის ფრაზეოლოგიზმები: ägyptische Finsternis- კუნაპეტი სიბნელე; chinesisches reden- გაუგებრად თქმა; chinesisches für jmdn. sein- ვინმესთვის გაუგებარია; Chinesische Mauer- გადაულახავი ბარიერი; mit den Chinesen Bruderschaft getrunken haben- სიყვითლე აქვს; Chinese spielen: სიყვითლის ქონა; Tee nach China tragen- სისულელის/უაზრობის გაკეთება; wenn in China/Peking ein Fahrrad/ Sack Reis umfällt - უმნიშვნელო შემთხვევა; wenn...,[dann] bin ich der Kaiser von China - თუ ეს ასეა..., მაშინ მე ჩინეთის იმპერატორი ვარ. ein echter deutscher Mann mag keinen Franzen leiden: ნამდვილი გერმანელი ვერ იტანს ფრანგებს; sich französisch/ auf Französisch verabschieden -გამოუმშვიდობებლად წასვლა; französische Krankheit/ französisch krank sein -სქესობრივი ავადმყოფობის (სიფილისის) ქონა; französisch sprechen wie die Kuh spanisch: ფრანგულად ცუდად ლაპარაკი; Eulen nach Athen tragen- რაიმე აბსურდულის, უაზროს გაკეთება; den Holländer machen- გაქცევა, გაპარვა, დამალვა, გაქცევა; die holländische Marke rauchen: ჰოლანდიურად მოწევა (ასე ამბობენ, როცა ვინმე სულ სხვას სთხოვს სიგარეტს მოსაწევად); eine Judenschule aufmachen: ხმაურის დაწყება/ ხმაურიანი გასართობი ღონისძიების დაწყება; Lärm wie in einer Judenschule - ძლიერი ხმაური; sich benehmen wie in einer Judenschule - ხმაურიანად მოქცევა; da (heute) ist Polen offen - არეულობა! სიტუაცია უკონტროლოა; sich polnisch verabschieden- შეუმჩნევლად, გაუფრთხილებლად, მალულად წასვლა; polnisch zusammenleben- დაურეგისტრირებელი ქორწინება; preußisch tun- ტრაბახი, ბევრის დაპირება; So

schnell schießen die Preußen nicht- ეს ასე სწრაფად არ გამოვა; nicht preußisch miteinander sein- ვინმესთან მეგობრული ურთიერთობა არ აქვს/უთანხმოება, კონფლიქტი აქვს/ვერ ეწყობიან ერთმანეთს; an den russischen Monat denken- შურისმაძიებელია; einen Russen haben- მთვრალია; voll wie hundert (tausend) Russen - ძალიან მთვრალი/ გაღებშილი volltrunken saufen wie ein Russe- ბევრის დალევა; jmdn. einen Russen aufbinden - ვინმეს მოტყუება; ტყუილის სიმართლედ წარმოდგენა; einem den Schweden wünschen ვინმესთვის უდიდესი უბედურების სურვება; jmdn. hinter schwedische Gardinen bringen- ისე გაკეთება, რომ ვინმე ციხეში მოხვდეს; den Schwedentrunken erhalten - არაადამიანური წამებით სიკვდილი; ein Gehirn haben wie ein Schweizer Käse - ცუდი მეხსიერების ქონა; das ist mir spanisch- ეს ჩემთვის გაუგებარია; da sieht es spanisch aus- უცნაურად/გაუგებრად/უწესრიგოდ გამოიყურება; jmdm. spanische Stiefel anziehen- ვინმესთვის ძალით, იძულებით თავისუფლების შეზღუდვა; für jmdn. spanische Dörfer sein - ვინმესთვის გაუგებარია; einen Türken bauen - რაიმეს ისე წარმოჩენა თითქოს ნამდვილია; getaufter Jude- თალითი; den Holländer machen- გაქცევა, დამალვა; mit dem Judenspieß rennen- არაკეთილსინდისიერი გზით მოგების მიღება; sich wie ein Reiter auf dem Bodensee fühlen - თავს გრძნობს როგორც რაინდი ბოდენის ტბაზე (დაუცველად გრძნობს თავს); babylonische Sprachverwirrung- ენების ბაბილონური აღრევა (ერთ ადგილას სხვადასხვა ენებზე მოსაუბრე ადამიანების სიმრავლე, რომელთაც ერთმანეთის არაფერი ესმით); sein Waterloo erleben - საკუთარი ვატერლოოს განცდა (გადამწყვეტი დამარცხების განცდა, გამანადგურებელი მარცხი); Wasser in die Limmat tragen - წყლის ლიმატში შეტანა (რაიმე გადამეტებულის გაკეთება); da ist Holland in Not- ჰოლანდია გაჭირვებულია (ძალიან დიდი საჭიროებაა); über den Jordan gehen- იორდანის გაღმა გასვლა (სიკვდილი).

ნეიტრალური კონოტაციის ფრაზეოლოგიზმები: der (reiche) Onkel aus Amerika- ფულის საიდუმლო წყარო აქვს; ein armenischer Besuch- ხანგრძლივი ვიზიტი; sowas lebt in China! ასეთი რამ ჩინეთში ცხოვრობს! (გაოგნების წამოძახილი); auf deutschem Boden gehen (laufen) - ფეხშიშველა სიარული; Im Deutschen lügt man, wenn man höfflich ist - გერმანულად ტყუილს ამბობენ, როცა თავაზიანობენ; Der Lord läßt sich entschuldigen, er ist zu Schiff nach Frankreich- რაიმე/ვინმე მიუღწეველია; sich polnisch verheiraten- სამოქალაქო ქორწინებაში ყოფნა; so groß wie das Heidelberger Faß sein - ჰაიდელბერგის კასრივით დიდი (უზარმაზარი); nach Bethlehem gehen- ბეთლემში წასვლა (დაძინება); auf der Wartburg sitzen (warten)- ვარტბურგზე ჯდომა (დალოდება). ვარტბურგი ცნობილი ულამაზესი ციხე-სიმაგრეა გერმანიაში; in Dummsdorf, wo die Hunde mit dem Schwanz bellen - დუმსდორფში, სადაც ძაღლები კუდით იყეფებიან (სადაც მდებარე ადგილი, სადაც უცნაური მოვლენები ხდება; Rom ist auch nicht an einem Tag erbaut worden- რომი ერთ დღეში არ აშენებულა (დროა საჭირო); wenn der Main brennt- როცა მაინი იწვის (არასოდეს); den Rubikon überschreiten- რუბიკონის გადალახვა (გადამწყვეტი ნაბიჯის გაკეთება); ein Ritt über den Bodensee - გასეირნება ბოდენის ტბაზე (ძალიან გაბედული წამოწყება, რომელიც არაფრით არის უზრუნველყოფილი; da/bis dahin läuft noch viel Wasser die Donau/ die Elbe/den Main/den Rhein - მანამდე ჯერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის დუნაის / ელბის / მაინის / რაინის (დიდი დრო დასჭირდება); in Rom gewesen sein und den Papst nicht gesehen haben- რომში ყოფნა და პაპის არ ნახვა (ყველაზე მნიშვნელოვანის არნახვა/შენიშვნა).

ამრიგად, როგორც კვლევამ გვიჩვენა, მოძიებული 77 ტოპონიმური და ეთნონიმური ფრაზეოლოგიზმიდან 13 პოზიტიური, 47 ნეგატიური და 17 ნეიტრალური კონოტაციის ფრაზეოლოგიზმია. აღსანიშნავია, რომ ნეგატიური კონოტაციის პრაზეოლოგიზმები უფრო სჭარბობს, ვიდრე პოზიტიური და ნეიტრალური. ტოპონიმური და ეთნონიმური

ფრაზეოლოგიზმების სემანტიკური კვლევის პროცესში ფრაზეოლოგიზმებში გამოიკვეთა ამა თუ იმ ეროვნებებისთვის დამახასიათებელი თვისებები და ქცევები.

ლიტერატურა:

1. გამრეკელი, ნ., ჰოფმანი, თ. ქადაგიძე, ნ. (1973): გერმანულ-ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. თბილისი. განათლება.
2. ზეკალაშვილი, რ. ქირია, ჭ. (2007): გერმანულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი: საქართველოს მაცნე.
3. Burger, H. 2010): Phraseologie: eine Einführung am Beispiel des Deutschen. 4., neu bearb. Aufl. Berlin:
4. Duden (Deutsches Universalwörterbuch) (5. überarbeitete Ausgabe) (2003). Dudenverlag. Mannheim. Leipzig. Wien. Zürich.
5. Duden (2008): Wörterbuch der deutschen Idiomatik. 3., überarbeitete und aktualisierte Aufl. Mannheim: Dudenverlag.
6. Fleischer, W.(1983): Deutsche Sprache (Kleine Enzyklopedie). VEB Bibliographisches Institut, Leipzig.
7. Fleischer, W.(1997): Phraseologie der deutschen Gegenwartssprache. 2. durchges. und ergänz. Aufl. Tübingen: Max Niemeyer.
8. Götz, D. u. a.:(2008) Droßwörterbuch Deutsch als Fremdsprache. Langenscheidt-Berlin- München -Wien - Zürich -New York.
9. Kempke, G. (1984):Handwörterbuch der deutschen Gegenwartssprache in zwei Bänden. Berlin: Akademie Verlag.
10. Schmidt, W. (1982): Deutsche Sprachkunde; Volk und Wissen, volkseigener Verlag. Berlin.
11. Paffen, K.A. (1980): Deutsch-russisches Satzlexikon. Leipzig: VEB Verlag Enzyklopädie.
12. Warig, G. (2000): Deutsches Wörterbuch. Bertelsmann Lrxikon Verlag. Gütersloh/ München

Tsisana Modebadze

I.Gogebashvili State University
Telavi, Georgia

For the semantics of German toponymic and ethnonymic phraseologisms

Abstract

The aim of the article is to determine the semantic meaning and groups of toponymic and ethnonymic phraseologisms. In research process, two semantic groups were identified: phraseologisms created with the names of countries, that is toponymic. For instance:*Leben wie Gott in Frankreich* - living like God in France, i.e. living well, and phraseologisms created with the names of nationalities, that is ethnonyms:*stolz wie ein Spanier* - proud like a Spaniard. Phraseologisms with positive, negative and neutral connotations were revealed.